ხელშეკრულება №08-01-01/19

ქ. თბილისი 8 იანვარი, 2019 წელი

ერთი მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური** წარმოდგენილი მისი უფროსის ვალერიან ხასაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ, **სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ვასილ მენთეშაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საიდუმლო საქმისწარმოებისათვის აღრიცხვის ჟურნალების (შემდგომში „შესყიდვის ობიექტები“) შესყიდვა (CPV-22810000).
1.2 შესყიდვის ობიექტების აღწერილობა და განფასება:

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება დღგ 18%
მომზადებული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა N18)	1 ცალი	22 ლარი	22 ლარი
შემოსული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა N22)	1 ცალი	22 ლარი	22 ლარი
სამართლებრივი აქტების აღრიცხვის ჟურნალი (ფორმა N29)	1 ცალი	22 ლარი	22 ლარი

ჯამი: 66 ლარი

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნულ ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თამარ კალანდაძე.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული შესყიდვის ობიექტების შეცვლა.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განახორციელოს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.2. შესყიდვის ობიექტები ან მათი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ფაქტიური მისამართი.
3.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე პირად განისაზღვროს სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი თამარ კალანდაძე.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების საერთო ღირებულება შეადგენს 66.00 (სამოცდაექვსი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.
4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდებიდან, მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივი ხელმოწერიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დროულად და სრულად მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
5.2. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:
5.2.1. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტები, რომელიც შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.
5.2.2. შესყიდვის ობიექტების ნაკლის აღმოჩენისას მოახდინოს ნაკლის გამოსწორება თავისი ხარჯით ან შეცვალოს დეფექტური საქონელი ახლით 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;
5.2.3. უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დროულად და სრულად შესრულება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,5%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი

დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

6.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,5%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.

6.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, 2019 წლის 8 იანვრიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 9. დავის განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	ს.ს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“
მის: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. 83	მის: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. N5
საიდენტიფიკაციო კოდი: 204447330	საიდენტიფიკაციო კოდი: 202886172
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია“
ა/ანგარიში GE24NB0330100200165022	ა/ანგარიში GE08VT6600000000323606
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: UGEBGE22
სამსახურის უფროსი	გენერალური დირექტორი
ვალერიან ხახაშვილი	ვასილ მენთეშაშვილი

Financial Monitoring Service of Georgia

Digitally signed by Financial Monitoring Service of Georgia
Date: 2019.01.10 18:06:47 +04'00'